საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

(2024 წლის III კვარტალი)

19.11.2024
www.geostat.ge

19.11.2024

საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წლის III კვარტალი)

2024 წლის III კვარტალში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 204.4 ათასი მგზავრი, ხოლო მგზავრთბრუნვის მოცულობამ 597.9 მლნ. მგზავრ-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 45.0 პროცენტით, მგზავრთბრუნვის მოცულობა კი 69.1 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა და მგზავრთბრუნვა



19.11.2024

2024 წლის III კვარტალში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილია 69.6 ათასი ტონა ტვირთი, ხოლო ტვირთბრუნვის მოცულობამ 159.8 მლნ. ტონა-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც გადატანილი ტვირთის (2.5-ჯერ), ისე ტვირთბრუნვის (3.0-ჯერ) მოცულობა.

საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის და ტვირთბრუნვის მოცულობა



19.11.2024

2024 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტები 2 462.5 ათას მგზავრს მოემსახურა[1], რაც 20.6 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს — აეროპორტებმა მიიღო 1 215.1 ათასი მგზავრი (21.2 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 1 247.4 ათასი მგზავრი (20.1 პროცენტით მეტი).

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი კაცი)



[1]**წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

2024 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 93.7 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით,
(%)



2024 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 9.4 ათასი შეადგინა, რაც 15.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

სამგზავრო რეისების რაოდენობა
(ათასი)



19.11.2024

2024 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 6.3 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 88.0 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 12.0 პროცენტი — გაგზავნილი.

ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი ტონა)



19.11.2024

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით,
(%)



2024 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში 0.5 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 89.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge